[illegible]

№ 343 1918 წ. პარასკევი სექტემბერი 27. № 343

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

**გენ. იოს. გედევანიშვილი დაინიშნა სამეგრელოსა და სოხუმის ოლქში მომქმედ ჯარების მთავარ-სარდლად. ციმმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურმა კომისიამ სამშვიდობო მოწოდებით მიმართა ყველა ერს. ატლანტის ოკეანეში გერმანელებმა 35 ათასი ტონიანი გემები დაჰღუპეს.**

**სამხატვრო სტუდია არგონავტების ნავი**
(„ლადია არგონავტოვ")

1918—19 წლის სეზონი, გოლოვინის პრ. 10.

**დღეს მე-6 ციკლის ახალი პროგრამა**

ესპანიური დუეტი, ბადიის მუსიკა. ტენორი და რეცენზენტი, 1 მოქმ. ს. გოროდეცკისა
3. საომოიანი ცეკვილი.
4. მწყემსის სიმღერები, ვეკერლინის მუსიკა.
5. ალმოსავლური ტავერნა, ს. კორონის მუს., ტექსტი ა. ყანჩელისა.
6. პოლონდიელი მეზღვაური, დრიგოს მუსიკა.
7. ანათებს მთვარე („სვეტიტ მესიაც").
8. „კუზინა", ა. პოტიომკინის სიტყვები, ნუროკის მუსიკა.

მთავარი რეჟისორი მ. მიხაილოვი. ორკესტრი თ. კაცის ლოტბარობით, ჰესეს და ბენდიცკის მონაწილეობით. ბილეთები იყიდება სტუდიის კასაში საღ. 7 საათიდან. შესასვლელი ბილეთი—მაგიდის დაჭერის უფლებით—14 მ. სტუდიასთან არსებობს ამერიკული „ბარი" და რესტორანი.

ანონსი: ორშაბათს, სეტემბრის 30-ს, ნ. ჩერეპნინის მუსიკალური პოეზიის საღამო გაიმართება. 2069

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სახალხო საქმე"**

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი, სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესტეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ, მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

ღრმად დამწუხრებული უბედური დედა ანასტასია დავითის ასული თავხარდაცემული დები: ნატალია დავითის ასული კალატოზიშვილისა, ელენე დავითის ასული ადამიძისა. გულ-დათუთქული ძმა ივანე დავითის ძე კიკნაძე ცოლ-შვილით, გულ-დაწყვეტილი სიძე პავლე ანტონის ძე კალატოზიშვილი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დუშეთში ბრიგების დასამშვიდებლად გაგზავნილი კომენდანტი, უბრალო აჯანყებულთა და ყაჩაღების დაუნდობლობით [illegible] სისხლის გამოსხმით დაიღუპა უდროოდ უძვირფასესი შვილი და ძმა ქართული მე-7 პოლკის კაპიტანი

**ნიკოლოზ (კოლია) დავითის-ძე კიკნაძე**

გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან 11 საათზე, პარასკევს, ენკენისთვის 27-ს დაკრძალვა დიდუბის სასაფლაოზე

კნეინა ოლღა ალექსანდრეს ასული ჩერქეზიშვილისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასული გამრეკელისა შვილებით და მართა ალექსანდრეს ასული ხარაშვილისა შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თავიანთ დედის

**პელაგია როსტომის ასულის ზუმბულიძის**

გარდაცვალებას, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პანაშვიდები, ყოველ დღე 7 საათზე დიდიმთავრის ქ. № 11, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2070

1918—19 წლის ოპერის სეზონი **სახელმწიფო თეატრი** დირექცია ნ. დ. ლევიცკის

პარასკევს სექტემბრის 27-ს, „ჰიკოვაია დამა" ოპერა 3 მოქმ. და 7 სურათად მუზ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. სკვარეცკაია, მოროზოვისა, იანისა, ოვსიანიკოვისა, სლავსკისა, ვიშემირსკაია. ბ.ბ. კანშინი, ბილაზანი, ზუბარევი, დემიანენკო, კურტოვი, ორლიუკი, ვოლიანსკი. დირიჟორი სტოლერმანი- დასაწ. სრულ 8 ს.
კასა დილ. 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: შაბათს, სექტემბრის 28-ს, „ევგენი ონეგინი", 29ს, „ფაუსტი", 30 ს [illegible]". 1337

**სასახლის ბაღში** სექტემბრის 2-დან ოქტომბრის 10-დის გაიყიდება სასახლის ყვავილნარისთვის [illegible] მიჩნეული ოთახის სხვა და სხვა მცენარე და ყვავილები. გაყიდვა მოხდება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 3 საათიდან 6-მდის.
შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან.

**ვაჟთა და ქალთა გიმნაზია ნ. გ. თევზაძის**

[illegible]ლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.
ძ ხ ე ნ ა ს ძ. № 11

[illegible]ნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად ქართველ[illegible]—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მა[illegible] ხადამოთ[illegible]. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა [illegible] შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე [illegible] გამოცდელად მ იღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს [illegible] სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია [illegible] საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვა[illegible]. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.
გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.



**ცირკი „მოდერნი"**
(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, პარასკევს სექტემბრის 27-ს, გაიმართება

**გალა-სპორტი**

3 განყოფ. და 12 ნომრით. მონაწილეობენ ცნობილი იუმორისტები მარიამ და ანტონ ზინკოვსკები, ესმერალდა, სლასტუშინსკი, ვუდი და მაი და სხვ.

ანონსი: მოვის მსოფლიო ატრაქციონი, მთის სამი არწივი
მთავარი ადმინისტრატორი ა. ელიზაროვი 2068

ტფილისი, სექტემბრის 27

უკვე ოთხ წელიწადზე ზავის მეტია, რაც კაცობრიობის უმეტესი ნაწილი, ევროპა ცეცხლის ალში გახვეული. არ გამართლდა ბრძენ პოლიტიკოსების და შინაური ეკონომისტების აზრი, ვითომ ეს ომი ხანმოკლე იქნებოდა. ისინი ამბობდნენ: დღევანდელი ტეხნიკა ისეთი წინ წასულია, ისეთი გამანადგურებელი საშუალებანი აქვს, რომ ევროპა ომს ექვს თვეს თუ გაუძლებს, წელიწადსაც არ გაგრძელდება ომიო, მაგრამ ომმა დაამარცხა ეს გულუბრყვილო შეხედულება და კიდევ მეტად განამტკიცა აზრი, თუ რამდენი შეუძლიათ ერს და სახელმწიფოს. სურვილი გამარჯვებისა ფრიად დიდი იყო ყველა ერში და თუ ეს სურვილი არის სადმე ქონდრის კაცს გოლიათთან შებრძოლება შეუძლიან. ასეთს მდგომარეობაში იყო, მაგალითად, ბელგია, დიდს გერმანიას რომ შეებრძოლა.

ამ ომის განმავლობაში მრავალჯერ ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი ზავის ხმების თაობაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, არასოდეს არ ჰქონია ამ ხმებს იმდენი საფუძველი, რამდენიც დღეს აქვს. მსოფლიო მართლაც მოიღალა ომით და მშვიდობიანობა სწყურიან. ეხლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ არც ერთს მებრძოლ კოალიციას არ შეუძლიან საბოლოოდ დაამარცხოს მეორე. ამ მხრივ ყურადსაღებია ის სიტყვები, რომელიც ინგლისში ბალფურმა წარმოსთქვა, ხოლო გერმანიაში კოლონიების მინისტრმა. ორთავე სიტყვაში, მიუხედავად გარეგანი მოურიგებლობისა—ნათლად სჩანს სევდა ზავისა და მშვიდობიანობისადმი. ჩვენ გვგონია, ის დიდი ბრძოლა, დასავლეთის ფრონტზე რომ გაუმართეს ერთმანეთს და რომელმაც ოდნავ შესცვალა ძალთა განწყობილება, ზავის მომაახლოვებელია უნდა ითქვას, რომ ძალთა განწყობილება ოდნავ ინგლისის კოალიციის სასარგებლოდ შეიცვალა. ამიტომ იყო, რომ თუ წინად ინგლისი თითქოს თანახმა იყო დაებრუნებინა გერმანიისთვის წართმეული კოლონიები, დღეს სხვანაირად ლაპარაკობს და წინანდელ მოთხოვნილებებზე შორს მიდის. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საფრანგეთი სისხლისაგან იცლება—უეჭველია ზავის ხანის მოახლოვება შეუძლებლად არ უნდა ჩაითვალოს. მეორე მხრით გერმანიამაც ტონს უკლო და თუ წინად ყრუდ ამბობდა, ეხლა აშკარად აცხადებს: ბელგიის დაპყრობა და შენარჩუნება საბოლოოდ თავის დღეში აზრად არ გვქონიაო. ერთის სიტყვით, დასავლეთის ფრონტზე წარმოებული შეტაკებანი შეიძლება უკანასკნელი გაბრძოლება იყოს მოქანცულ სახელმწიფოებისა.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ყველა მეომარ სახელმწიფოებს ზავის მოსაახლოვებლად წარმომადგენლები გაგზავნონ ნეიტრალურ სახელმწიფოებში, სადაც ისინი ზავის წინასწარ, არა სავალდებულო პირობებს შეიმუშავებენ. ჰინდენბურგი ამის გამო მიმართავს თავის ჯარს და აფრთხილებს, რომ ეს არ ნიშნავს საომარ მოქმედების შეჩერებას. დანამდვილებითი ცნობები ჯერ არის, მაგრამ ხმებია, რომ მოკავშირეები ავსტრია-ჰუნგრეთის წინადადებას მაინც და მაინც გარეგნად დიდი ხალისით არ შეხვდნენ. მაგრამ ეხლა თუ არა, უეჭველია ამ სამიოდე თვეში საზავო მოლაპარაკება ფაქტი უნდა გახდეს, რადგან ვფიქრობთ, ყოვლად შეუძლებელია, როგორც ირკვევა, რომელიმე კოალიციამ მოწინააღმდეგე დაამარცხოს ისე რომ მთლად თავისი საზავო პირობები უკარნახოს, ამ მხრით ავსტრია-ჰუნგრეთის წინადადებას დღევანდელისთვის თუ არა, ხვალისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მშვიდობიანობის ჩამოგდების იმედებს იძლევა.

ზავის ჩამოგდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქართველოსათვის. თუმცა ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ნეიტრალობას ვიცავთ და ზავიც ჩამოვაგდეთ ოსმალეთთან, თუმცა ნეიტრალიტეტი გვაქვს გამოცხადებული, მაგრამ ომის აზვირთებული ტალღები მძლავრად გვხვდება. საერთაშორისო ზავის ჩამოგდება შეძლებას მოგვცემს ევროპასთან პირდაპირ დაკავშირებისას, სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა გაჩაღდება და ნელნელა მოისპობა ის კრიზისი ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში, ასე საბედისწერო რომ გახდარა ჩვენი სახელმწიფოსათვის. ამიტომ საქართველო ფრიად და ფრიად დაინტერესებულია საბოლოო ზავით, რომელსაც საბოლოოდ გამოირკვევა ჩვენი ბედი და საერთაშორისო მდგომარეობა.

## ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა" ეხება გერმანიის როლს ჩვენში. იგი აღნიშნავს, რომ მან ფიზიკურ განადგურებას და ოსმალეთის მონობას გადაგვარჩინა. ამასთანავე ერთად საეკონომიო ინტერესები ჰქონდა გერმანიას საქართველოში. ჩვენის მხრით სიტყვას არ გავსტეხთ, ოღონდ გერმანიამაც წმინდად უნდა აასრულოს თავისი დაპირება—შინაურ საქმეებში არ ჩაერიოს. ამ მხრით ზოგიერთი რამ არასასურველი ხდება და „ერთობა" სწერს:

„ჩვენს რედაქციას ბევრი კორესპონდენციები მოსდის სხვა და სხვა კუთხიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიები იყო, და ყველანი ერთხმად უჩივიან იმ გერმანელ ჯარის უდიერ მოპყრობას, რომელნიც კოლონისტთა სოფლებში არიან დაბანაკებული.

აქ, რასაკვირველია ის კი არ არის გასაკვირი, რომ გერმანელები იცავენ კოლონისტებს. ხალხის უკმაყოფილებას ბადებს ის გარემოება, რომ ხშირად ეს ჯარი ყოველ ცალმხრივად ნემეც კოლონისტთა და მეზობელ სოფლების ურთიერთობაში, თავის ძალით ასამართლებს ამათ. არბევს ქართულ, სომხურ, ან თათრულ სოფლებს კოლონისტების სასარგებლოთ, თვით ასამართლებს და ახდევინებს მათ ჯარიმას. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ კომისარის ჩარევასაც კი ვერ გადაურჩენია საქართველოს მოქალაქე გლეხ-კაცობა ფიზიკურ შეურაცყოფისაგან.

გერმანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ საქართველო ოსმალეთი არაა, რომ ქართველი მოქალაქე ფიზიკურ სასჯელს ვერ შეეგუება. თვით რუსის კანონსაც კი, რომელიც სოფლელთ შიდა რუსეთში როზგავდა, ჩვენში ეს სასჯელი არ გადმოუტანია. მხოლოდ რუსეთის დამსჯელ ექსპედიციებისაგან თუ ახსოვს ჩვენ ხალხს გამათრახება. და ეხლაც ამიტომ ანალოგიური გრძნობები იღვიძებს მასში.

ქართველი გლეხი, უსწავლელი გლეხიც კი ასეთ „როზგების" ხმარებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას რუსეთის უკულტურობას აწერდა, მის ველურობის ნიშანდობლივ თვისებად სთვლიდა—და, რასაკვირველია, თუ ევროპიდანაც ასეთი საშუალებებით თვითგასამართლების ნიმუში იხილა, რით უნდა გაარჩიოს პირველი მეორისაგან? რაში უნდა დაინახოს კულტურული უპირატესობა ევროპიელ მეგობრებისა—ნახევრად აზიურ რუსეთის მოხელეთაგან?

ჩვენ აღვნიშნავთ ამას არა იმისთვის, რომ გერმანელების კულტუროსნობა არ გვწამდეს, არამედ სწორედ იმისთვის, რომ ამ კულტუროსნობის ზოგიერთ დამამცირებელ მოვლენებზე მივუთითოთ და ის ელემენტები, რომელნიც ასეთ საქციელს იდენენ, და რომელნიც ჩვენი ღრმა რწმენით გამონაკლისს შეადგენენ, ამიერიდან გახდნენ განსაკუთრებულ ყურადღების საგნათ თვით გერმანიის წარმომადგენელთათვის.

ჩვენ არ ვეხებით აქ იმას, რომ ასეთი მოვლენა, როგორც მაგალითად გერმანელი ჯარის ჩადგომა ანანოვის მამულში, გინდა დაჯარიმება გლეხების და სხვა—წარმოადგენს ხელშეკრულობის დირღვევას, რომ პოლიტიკურად იგი შინაურ საქმეებში ჩარევაა. გერმანელებს, როგორც ვიცით ხელშეკრულობით აქვთ აღებული მოვალეობა საქართველოს საზღვრების დაცვაში დახმარების აღმოჩენა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. იმ საშინელი, გამწვავებული აგიტაციის წყალობით, რომელსაც წინანდელი ჩვენი ბატონების წარმომადგენელნი აწარმოებდნენ დღეს ხალხი მეტად მგრძნობიარე შეიქნა ამ საკითხში მას ყოველი ასეთი მოვლენა ახალი მონობის მოსვლად ეჩვენება და ნერვიულობს."

სრული სიმართლეა. უეჭველია, თვით გერმანიის ინტერესი მოითხოვს ამას უდიდესი ყურადღება მიექცეს და არ შექმნას ისეთი პირობები, როდესაც ქართველ ხალხს იმედის გაცრუება მოეჩვენება. უკრაინის მაგალითი ჩვენთვისაც, გერმანელებისათვისაც ჭკუის მასწავლებელი უნდა იყოს.

## მთავრობაში

ფინანსთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა-საბჭოს წინაშე, რათა დამზადებულ იქმნეს საგერბო ნიშნები, აქტები, თამასუქები და სხვა სამრეწველო საბუთები.

## უკანასკნელი ცნობები

**ბაქო და ინგლისელები.**

როტტერდამი 9—24 „როტტერდამის კურანტს" ლონდონიდან სექტემბრის 20 ის თარიღით ატყობინებენ: „დეილი ქრონიკლ" ბაქოდან ინგლისელების წასვლის შესახებ სწერს: სასურველია ვიცოდეთ, ვინ აგებს პასუხს ასეთ დონკიხოტურ ექსპედიციისათვის. ასეთ ექსპედიციას უნდა სცოდნოდა, არავითარი კარგი ნაყოფის მოტანა არ შეეძლო ამ

...არღვევის დროს რუსეთის სახელმწიფოსათვის. უდროო იყო ინგლისელების ჯარის გაგზავნა მესოპოტამიიდან კასპიის ზღვით და მისი დატოვება განგების ანაბარად. ზღვაზე მიმოსვლა რუსის არასამხედრო ელემენტებზე იყო დამოკიდებული. სურსათისა და სამხედრო მასალის მიწოდებაც ზურგიდან შეუძლებელი იყო, ბედი მათი, თუ ისინი კატასტროფას გადარჩნენ".

**გემების დაღუპვა.**

გერმანიის წყალ ქვეშა ნავებმა ატლანტიის ოკეანეში მტრის გემები დაღუპეს, სულ 35,000 ტონისა.

# ეროვნული საბჭო

**მთავრობის პასუხი სურსათის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ შეკითხვის გამო.**

თავმჯდომარის ადგილს იჭერს ე. თაყაიშვილი.

სურსათის მინისტრი **ლორთქიფანიძე** წარსულ კრებაზე მოგახსენეთ, რომ მთავრობა დაწვრილებით წარმოადგენდა ცნობებს სასურსათო გეგმის შესახებ. მაშინ ყველაფერი მოგახსენეთ, რაც მთავრობამ გააკეთა პურის შემოტანისათვის. ერთი დამატებითი ცნობაც: ყუბანის მთავრობა დაგვპირდა, რომ თვეში 100 ვაგონ პურს მოგვაწვდის ჩაია და სხვა საქონელში გასაცვლელად. აქედან ერთი ნაწილი უკვე მოსულია ნოვოროსიისკში, ზღვის სანაპიროებზე მოქმედ გენერალ მაზნიაშვილის ჯარის საკვებად. ამ ჟამად ჩვენი წარმომადგენელი ... ეკატერინოდარში იმყოფება ამ საქმის მოსაგვარებლად. იქიდან უკვე მოითხოვეს, რომ ჩვენი გემები გაიგზავნოს საქართველოს დროშით პურის დასატვირთად.

ამ რიგად, ჩვენ ხელა შესაძლებელი ხდება სასურსათო კრიზისის თავიდან აცილება. ... ცხოვრებაშიც ეს ... გაუმჯობესების იმედს იძლევა. მაგალითად, ქუთაისიდან ცნობები მოდის, რომ ის სიმინდი, რომელიც ერთი კვირის წინად ფუთი ... თუმნად ... ახლა ოთხ თუმნად ფასობს. ეს ნიშნავს, რომ იქ მოსავალს კარგი პირი უჩანს და ვაჭრები ცდილობენ ძველი საქონელი დროზე გაასაღონ. ჩვენ მოკლე დროში უნდა უსათუოდ შემოვიტანოთ 200,000 ფუთი პური და ბაზარზე გავიტანოთ სურსათის ფასების ნორმალური ... ჩასაყენებლად. ამას გარდა ჩვენში ჩამოკიდებული მარილის კრიზისი უკვე თავიდან აცილებულია, ჩვენ წლიურად სტატისტიკის მიხედვით 1.300.000 ფუთი მარილი გვჭირდება.

შესაფერისი ხელშეკრულობებითა და სპეკულიანტებისაგან ... ეს საკითხი ჯეროვნად მოგვარდა. ამას წინად ჩვენი 300 ვაგონი მარილი მოვიდა. აგრეთვე ჩვენმა აგენტმა ... შემოიტანა 200 ათასი ფუთი, ამ რიგად ეხლა ჩვენ 500,000 ფუთი მარილი გვაქვს რაც ხანგრძლივ წელიწადს გვეყოფა. ჩვენ ... აგრეთვე ... მეოხებით ჩაის საკითხის მოგვარებისა. სასურსათო სამინისტრომ საგანგებო რწმუნებული გაგზავნა ქუთაისის გუბერნიაში და ... ჩაის წარმოებას მოჰკიდა ხელი. გამოირკვა, რომ კარგად დამუშავებული ეს ჩაი იგივე პირველი ხარისხის ვისოცკის ფირმის ჩაია, რომელიც თურმე წინად ... ებრაელებს გაჰქონდათ ოდესაში, ხოლო იქიდან ვისოცკის ნიშნით უკან გვიბრუნდებოდა. ამ ჟამად ჯერჯერობით 5,000 ფუთი ... და სამი ქარხანა ამზადებს ჩაის.

რადგანაც ჩვენი სურსათის მოგვარება უმთავრესად ჩვენს ხელდას მასალაზეა დამყარებული, ამიტომ ზომებია მიღებული ასეთი საგნების თავის მოყრისათვის ჩვენ ნახევარი მილიონი გადავდეთ გურიაში თამბაქოს შესაძენად. ხოლო რაც შეეხება შაქარს, ორი ან სამი თვის განმავლობაში უნდა ვიღონოთ რამე შაქრის შემოსატანად. ვინაიდან ასეთი რთული და მძიმე დღეს დღეობით სასურსათო საქმე, მთავრობამ დამატებითი კანონ-პროექტი შეიმუშავა, რომლის ძალითაც სასურსათო საბჭოს კონტინგენტი შეივსება სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ქალაქთა წარმომადგენლებით ამ საბჭოს მთავარ გამგეს და მის ამხანაგს მთავრობა უნდა ჰნიშნავდეს. აი, ასეთია დაახლოვებით ის ნამუშავარი და მომავალი გეგმა, რაც სურსათის სამინისტროსა და მთავრობას ამ დარგში გაუკეთებია.

... ახმეტელი გაკვირვებას გამოსთქლად გამცა პასუხით. სასურსათო სამინისტრო ერთგვარი „პანამაა", რის საბუთებიც ჩემს მოხსენებაში არ დამისახელებია, მაგრამ ეხლა უნდა მოვიყვანო. იგი ასახელებს რამდენიმე მაგალითს ტფილისიდან ვაგონობით შაქრის გატანის შესახებ, ეხება პურის, შემომტანელებთან დადებულ პირობებს და მცირედ მიაჩნია მათი ქონება სათანადო გარანტიისათვის და სხვა. მოითხოვს აგრეთვე რომ მთავრობამ თავის ასეთ საქმეებში მოიწვიოს „ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი კლასი" ბურჟუაზია და მის საშუალებით აწარმოოს ასეთი სავაჭრო და გაცვლა-გამოცვლის საქმე. რადგან ვაჭრები მაშინ სპეკულიანტობას თავს დაანებებენ, ვინაიდან მათ თავიანთ წრეებში სახელი ძვირად ულირთ. აკრიტიკებს აგრეთვე რამდენიმე სასურსათო ხელშეკრულებას, რომელიც თვით მთავრობისგანვე დაწუნებულია.

**მინისტრი ი. ლორთქიფანიძე.** ვინც ამ საქმეს არ იცნობს, მართლა რაღაც „პანამად" ჩასთვლის სასურსათო სამინისტროში მოქმედებას. აქ ახმეტელი ჩემს გამბედაობას შეეხო. ვინც იცის ეხლანდელი და წარსული ჩემი მუშაობა ის ნებას არ მისცემს თავს ასეთის კადნიერებისას, რომ გაუკვირდეს ჩემი გამბედაობა ამ კათედრიდან. რაც შეეხება თვით იმ ფაქტებს, ახმეტელმა რომ მოიყვანა, უნდა მოვახსენო, რომ ჩემთვის ზოგიერთი მათგანი უცნობია და თუ მან რაიმე ბოროტმოქმედება იცის, დამისახელოს, გამაცნოს. ხოლო ის, რასაც ის უმთავრესად ემყარება, მან კარგად იცის, რომ ასეთი ხელშეკრულებები თვით მთავრობამ უარჰყო და დაიწუნა. მას კარგად ნოეხსენება, რომ ჩვენ ყველა ბოროტმოქმედს სასტიკად ვსჯით. ვინც უნდა იყოს იგი. წინა კრებაზე, როცა მან თავისი მოხსენება წაიკითხა, ვერ გავიგე მაინცა და მაინც რისი თქმა უნდოდა ახმეტელს. მაგრამ დღეს, როცა მან ჩვენი საზოგადოება კლასებად დაჰყო და გვირჩია, ასეთი რთული საქმეები ჩვენს ბურჟუებს მიეცით, რადგან მათ უფრო გული შესტკივათ სახელმწიფოსათვისო, მე მგონია აშკარა უნდა იყოს ახმეტელის გულის ნადები.

შემდეგ მინისტრი დაწვრილებით ეხება ახმეტელის საბუთებს, განმარტავს და აბათილებს მათ.

სიტყვას თხოულობს **მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.** როცა ბ. ახმეტელმა შეკითხვა შემოიტანა, სიხარულით მივეგებე, რადგან მეგონა, ისეთ რამეს იტყოდა, რაც საშუალებას მოგვცემდა ამ საკითხის გადაჭრის დროს სათანადო გზის გამოსაძებნად, მაგრამ აქ ლაპარაკის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მისი შეკითხვა ჩვენთვის უკვე ცნობილ ფარგლებს არ გასცილებია და ახალი არაფერი უთქვამს; ხოლო ის, რაც მან დებულებებად წამოაყენა, ბ-ნმა მინისტრმა უკვე დაარღვია არსებითად. საქმე ის არის, რომ ყველა სამინისტროს უფლება აქვს, ესა თუ ის ხელშეკრულება დამოუკიდებლად დასდოს საჭიროების დროს; ვინაიდან, სასურსათო სამინისტრო ამ მხრივ ერთი პირველთაგანია, ის შეეცადა, რა გზითაც არ შეიძლებოდა, ეშოვა ისეთი პირები, რომელნიც ასეთ პირობებს შეასრულებდნენ და სურსათს მოაწვდიდნენ ჩვენს ქვეყანას. ამას წინად მე მოვითხოვე სასურსათო სამინისტროს მიერ დადებულ ხელშეკრულებათა პირები. აღმოჩნდა რომ სულ 12 ხელშეკრულებაა დადებული, ყველა ამ პირობებზე ხელი საბაშვილს უწერია მათ შორის მხოლოდ ერთი პირობა აღმოჩნდა შესაწყნარებელი. ყველაზე მეტად კი—კომერსანტის დამახასიათებელი—ხოშტარიას პირობა იყო, რომელიც ჩვენს ხაზინას პირდაპირ ჰბორკავდა. აქ რომ მქონდეს. გაჩვენებდით იმ პირობას, როგორც საკომერციო კურიოზს. ჩვენ ყველა ის ხელშეკრულებანი უარვყავით, საბაშვილი საქმის გამორკვევამდე მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდან გადავაყენეთ და რევიზია დავნიშნეთ. ეს რევიზორი ამას წინად ავად გახდა და საქმე ცოტა შეფერხდა. საკითხის დროზე გადასაჭრელად მე დავნიშნე მეორე რევიზორი, რომელსაც უფლება მივეცი თავის ფარგლებში ყველაფერი მოიმოქმედოს, რაც კი საჭირო იქნება საქმის ჯეროვნად გამოსარკვევად. ამ რიგად ზომები არის მიღებული სასურსათო საქმის გასაუმჯობესებლად და წარსულ მოქმედების შესამოწმებლად.

სურსათის საკითხი ფრიად რთული და პასუხსაგებია და არ გვინდა, ეს პასუხისგება მარტო ჩვენ, მთავრობის წევრებს გვედვას კისრად. ამიტომ ჩვენ გა-...

ორგანიზაცია, სადაც ყველა უნდა მონაწილეობდეს, ვისაც გული შესტკივა ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბლისათვის და მისთვის ზრუნავს.

ჟორდანიას სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე კრებას მოაგონებს, რომ უკვე ოთხის ნახევარი საათია; კრება შევწყვიტოთ თუ გადაიდოსო. საბჭომ ამ შეკითხვის შესახებ კამათი მომავალ კრებისათვის გადასდო.

# ომის დეპეშები

## დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი** 9—25. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში მზვერავთა მოქმედება გაცხოველებულია. მევრსა და გავრიხკურტის ტყის შუა საარტილერიო ცეცხლი გაძლიერდა. ინგლისელთა იერიშები მავრთან უნაყოფოდ ჩატარდა.

**ბოინეს ლაშქარი.** ეპეის აღმოსავლეთით კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დავიპყრეთ ის ხაზი, სექტემბრის 22-მდე რომ გვეჭირა. ფრანგებმა და ინგლისელებმა განაახლეს იერიშები სენ-კვენტინის წინააღმდეგ. მათ ეხმარებოდა არტილერია და ჯავშნოსნები.

**გერმანელ კრონ-პრინცის ლაშქარი.**

ვესლასა და ენს შუა ჩვენი საიერიშო ნაწილები მტრის ხაზებში შეიჭრნენ გლენესის სამხრეთით და 85 კაცი დაატყვევეს. მტრის კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ვესლასა და შამპონში რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

**საჰაერო ბრძოლაში** ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 28 ჰაეროპლანი და საჰაერო ბირთვი.

**ბერლინი.** 9—25. საღამოს ცნობა. მდ. ამინიონსა და სომას შუა მტრის ახალი იერიშები მოვიგერიეთ.

**პარიზი.** 9—25 გერმანელების ცდა უკან წაერთმიათ წინა დღეებში დაკარგული ადგილები, უნაყოფოდ ჩატარდა. გერმანელები დიდად დაზიანდნენ.

**ამერიკელების ცნობა.** 9—25. სექტორებში, ჩვენ ჯარს რომ უპყრია, სიმშვიდეა.

## პალესტინის ფრონტი

**სტამბოლი.** 9—25. ინგლისელები წინ მოდიან ჩვენი ახალი პოზიციების წინააღმდეგ ნაბლუსსა და იორდანეს ჰალაზე. სხვა ფრონტზე სიმშვიდეა.

# ზავის გარშემო

**სტოკჰოლმი.** ციმერვალდის საერთაშორისო კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის ერებს ავსტრიის საზავო ნოტის გამო.

**ლონდონი.** ბულგარეთმა თანხმობა და სურვილი განაცხადა მოწვეულ იქმნას სამშვიდობო კონფერენცია. მოსალოდნელია, რომ ასეთივე პოზიციას დაიკავებს ოსმალეთი.

# უცხოეთი

**ლონდონი** 9—22. (მიღებულია ბერლინიდან), საადმირალო იტყობინება, რომ აფეთქების გამო სექტემბრის 16-ს დაიღუპა ნავთსადგურში ბრიტანიის მინიატორი. მოკვდა 1 ოფიცერი და 19 ჯარის კაცი. ამას გარდა აკლია 57 კაცი, რომელნიც, ფიქრობენ, დაიღუპნენ.

**პენზა** 9—25. სამარაში დამფ. კრების კომიტეტის ზეგავლენით სამხედროსაველე სასამართლო შემოიღეს. მთელი ძალა-უფლება ჩეხ რეპენდის ხელშია.

**სარატოვი** 9—25 დამფუძნებელ კრების კომიტეტის ცნობით ყაზანიდან 60.000 ბურჟუა გაიქცა. თეთრი გვარდიელები დახმარების სახით აძლევენ მათ 100—500 მანეთამდე და უფაში გზავნიან.

**პენზა** 9—25 ციმბირის ჯარის მთავარ სარდლად გენ. ივანოვი დანიშნეს.

**კიევი** 9—25. კიევის ქალ. გამგეობა მთელ შემადგენლობით გადადგა და მის ნაცვლად მთავრობამ დანიშნა გამგეობა, ახალი საქალაქო კანონით გამგეობა უთუოდ უნდა დანიშნოს მთავრობამ.

ბესარაბიის საქმეების გენერალურმა კომისარმა განაცხადა, რომ 12 საათზე უნდა შეიკრიბოს ქალ. გამგეობა მეფის აქტის მოსასმენად.

**კიევი** 9—25. გამოქვეყნდა შელუხინის ტექსტი: იგი მოითხოვს, რომ უკრაინას უფლება ჰქონდეს დონის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნოს.

# ახალი ამბავი

**კონფერენციის რეზოლიუციები** ჩვენდა სამწუხაროდ შემთხვევით გაჰყვა კონფერენციის ერთ ერთს მდივანს ქუთაისში. რეზოლიუციები ამ დღეებში ... დაიბეჭდება.

**გენერ. იოს. გედევანიშვილი.** გენერალ კონიაშვილის შუამდგომლობით, ამ ჟამად სამურზაყანოსა და სამეგრელოში მომქმედ და აგრეთვე სოხუმისაკენ მიმავალ ყველა ჯარების და სახალხო გვარდიის უფროს სარდლად ინიშნება ჩვენი პარტიზანული პოლკის კომანდირი, გენერალურ შტაბის გენერალმაიორი იოს. გედევანიშვილი.

**საზღვაო სექციაში.** გენერალურ შტაბის განყოფილების სამხედრო საზღვაო სექციის უფროსად დაინიშნა ამიერ კავკასიის ფლოტის ყოფილი უფროსი პირველ რანგის კაპიტანი ჭავჭავაძე.

**გორის ქალთა გიმნაზიაში.** განათლების მინისტრის განკარგულებით გორის ქალთა გიმნაზიის ისტორიის მასწავლებლად დაინიშნა ვასილ მეგენეიშვილი.

**დეზერტირები.** ენკენისთვის 15-ს მეოთხე პოლკის თოფის წამლის საყარაულოდან სახლში გაიპარნენ დარაჯი ჯარისკაცები. ეს დეზერტირები არიან სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრებნი: ვლადიმერ ექვთიმიშვილი, გიორგი აბესაძე, ალექსი ექვთიმიშვილი, სოლომონ ფილაური და ნიკოლოზ ექვთიმიშვილი. მათი გაქცევის ამბავი პოლკის უფროსმა აცნობა საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომისარებს. გაცემულია ბრძანება მათ დასაჭერად და სამართალში მისაცემად.

**რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების** გამგეობის კრება დღეის ნაცვლად გაიმართება ხვალ, საღამოს შვიდის ნახევარზე „სახ. საქმის" რედაქციაში.

**„კულტურისა და შრომის კავშირის"** გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ქართულ საკანცელარიო ტერმინოლოგიის და ცოდნის პრაქტიკული სასწავლებელი განზრახულ ვადაზე ვერ გაიხსნა.

სასწავლებელში სწავლა დაიწყება აუცილებლად 1-ს ოქტომბერს ახალი სტილით საღამოს 6 საათზე ვერის პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში (ოლღას ქ. სახლი მაჩაბლისა).

დაწვრილებითი ცნობების მიღება და სასწავლებელში ჩაწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: წყნეთის ქ. სახლი № 30, ბიხა ნაფიც ვექილის თანაშემწის შალვა ტატიშვილისა დილის 12—4 ს და საღამოს 6—8 საათამდე.

**სახალხო უნივერსიტეტის ლექტორთა კრება.** შაბათს, ენკენისთვის 28-ს საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში, მიხეილის ქუჩა სახლი № 91, ფრიად საჭირო და გადაუდებელ საკითხების გამოსარკვევად მოხდება უკვე მოწვეულ ლექტორთა და ლექტორობის მსურველთა კრება. სთხოვენ ყველას, აუცილებლად გამოცხადდენ დანიშნულ დროსა და ადგილზე.

**ქართული ლატარია.** ლატარიის საქმე არაჩვეულებრივის სისწრაფით მიდის წინ. ბილეთები საღდება. ჩვენმა ცნობილმა ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ ლატარიას შემოსწირა 50.000 მ. ნაღდ ფულად და დაიკავა ასი ათასი მანეთის ბილეთი.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან.** ბოლო დროს პრესაში იბეჭდება ისეთი ცნობები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს პირდაპირ ამხედრებენ ჩვენ მეგობარ სახელმწიფოს, გერმანიის წინააღმდეგ და ზოგიერთი მათგანი ოფიციალ ცნობის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითად ენკენისთვის 9 გაზეთებში დაიბეჭდა საქონლის გაცვლის კომიტეტის სექტემბრის 16-ში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის გ. დ. ჟურულის თავმჯდომარეობით შემდგარ სხდომის ანგარიში, რომელიც სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც იქ ვკითხულობთ, ვითომ გერმანიის დელეგაციას არ შეესრულებინოს ხელშეკრულების პირობები საქართველოში გერმანიის საქონლის შემოზიდვის საქმეში. შესაძლებელია ასეთმა ცნობებმა გვაფიქრებინოს, რომ მათი მიზანია გაუგებრობის დაბადება საქართველოსა და გერმანიის შორის. ლაპარაკიც კი მეტია იმის შესახებ, რომ გერმანია არ ასრულებდეს ხელშეკრულების პირობებს, პირიქით მან არა ერთხელ დაგვიმტკიცა გულწრფელი მეგობრობა, თუ საქართველოში გერმანიის საქონლის შემოზიდვა ნელა სწარმოებს ამის მიზეზი არის მხოლოდ დღევანდელი მდგომარეობა გერმანიის სამხედრო მრეწველობისა, რომელსაც დიდი დავალებანი აქვს დაკისრებული, და ტრანსპორტის საქმის მძიმე მდგომარეობა ყველა ქვეყნებში.

**პოეტების გაზეთი.** ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტფილისში გამოვა ქართული გაზეთი პოეტებისა. გაზეთს სათავეში უდგანან პოეტები: „ცისფერი ყანწების"... ... დაიბეჭდება ... ახალი სკოლის, მთელი ... ქრესტომათიისა.

**ეროზის ხმოსანთა ყრილობა** დანიშნულია ოზურგეთში—ოქტომბრის 2, ახალსენაკში—5-ს, ქუთაისში—9-ს და შორაპანში—13-ში.

**შუამდგომლობა.** ტფილისის ტრამვაის პარკის მოსამსახურეებმა შუამდგომლობა აღძრეს ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარის წინაშე ღამის მუშაობის შემცირებისა და პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამის გამო საგანგებო კომისიამ დაათვალიერა ტრამვაის პარკი და შეიმუშავა მთელი წყება ამ მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელ კანონებისა.

**ღვინის სარდაფებში მომუშავე ქალები.** ღვინის სარდაფებში მომუშავეთ წინადადებით მიმართეს ტფ. გუბ. შრომის კომისარს ამ სარდაფებში მუშავე ქალების დათხოვნის შესახებ. ამის გამო საგანგებო ყრილობამ დაადგინა ასეთ მუშაობის დროს ქალსა და მამაკაცს შორის არ უნდა არსებობდეს განსხვავება. მხოლოდ გადაწყვეტილია მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება.

**ხოლერა.** სექტემბრის 25-ს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 10 ხოლერიანი, მოკვდა 6, მორჩა—4, ამ დღეს ქალაქის საავადმყოფოში 94 ხოლერიანი და 19 საეჭვო ავადმყოფი ირიცხებოდა.

**ქალაქის სასადილოებში.** ქალაქის სასადილოებში ქალაქის გამგეობის დადგენილებით ოქტომბრის პირველიდან თითო სადილი 4 მანეთად ეღირება.

**სახელმწიფო ფონდში მიღებული მიწები.** ქუთაისის გუბერნიაში სექტემბრის პირველიდან თხუთმეტამდე, მიწის მიმღებ კომისიას სახელმწიფო ფონდში გადაურიცხავს 2190 დესეტინა კერძო მესაკუთრეთა მიწა.

**დატუსაღება.** განსაკუთრებულმა რაზმმა შეიპყრო და ციხეში გაგზავნა ე. ა. გიუნაშვილი რომელსაც ბრალდება ტფილისის საგუბერნიო ხაზინაში ამას წინად შეპყრობილ მოხელეთაგან ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

**ლატარია და რეკლამა.** ლატარიის გამგეობის დადგენილებით დღეს მთელ ქალაქში ჰაეროპლანებიდან ჩამოჰყრიან სალატარიო რეკლამებს.

**გერმანულ ენის კურსები.** სამხედრო სამინისტროსთან განზრახულია დაარსდეს გერმანულ ენის კურსები ქართველ ოფიცრების მოსამზადებლად.

**ბოროტ-მოქმედება.** მთავარ სარევიზიო კომიტეტის წევრმა კოხრეიძემ გზათა მინისტრს აცნობა, რომ საქონლის მწონავმა ვინმე წვერავამ მიიღო ერთი ცარიელი ვაგონი ფოთიდან სანაინში სახლის ავეჯეულობის გადასატანად, მაგრამ მან ამ ვაგონით ფოთიდან მარილი წაიღო და 24 ათას მანეთად გაყიდა. კოხრეიძე სთხოვს მინისტრს, დაინიშნოს რევიზია და სამართალში მიეცეს წვერავა.

**საქართველოს ტყეების ინსპექტორი.** ტფილისში ჩამოვიდა პროფესორი ს. ზ. ქურდიანი, რომელიც დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის ტყეთა ინსპექტორად.

**ტფ. პოლიტეხნიკუმი.** სექტემბრის 25-ს მრავალრიცხოვან სტუდენტთა თანადასწრებით გაიხსნა ტფილისის პოლიტეხნიკუმი პროფესორ მაქსიმოვის შესავალ ლექციით. ამ წელს პოლიტეხნიკუმში დაარსდება ადგილობრივ ... ბის განსაკუთრებული კათედრა. სტუდენტთა რიცხვის რაოდენობით ... ლი ადგილი ქართველებს უჭირავთ.

**ხოლერა ერევანში.** სომეხთა მთავრობის ცნობით აგვისტოს 12-დან სექტემბრის პირველამდე ერევანში ხოლერით ავად გამხდარა 402 და გარდაცვლილა 239. ამას გარდა ... რესპუბლიკის საზღვრებში ამ ... მავლობაში ხოლერით 811 კაცი გახდარა ავად.

**სასწავლებლები**

**თ მარ-მეფის სახელობის ...** საოსტატო სემინარიაში მისაღები გამოცდები იწყება დღეს, პარასკევს, სექტემბრის 27-ს დილის 9 საათზე. ... მეორეებითი გამოცდები დაიწყება შაბათს, სექტემბრის 30 ს, ხოლო ... ოთხშაბათს, ოქტომბრის 2-ს. სემინარიის ... ბინა ყოფილ ქალთა საოსტატო ინსტიტუტის შენობაში, ახალ ბებუთოვის ქ. № 6.

**ქართული გიმნაზია ორთავე სქესის ყმაწვილთათვის.** ს და თ. გრია...

...ბისა. განმეორებითი და მისაღები გა...დები პირველ და მეორე კლასში ...ბა ოქტომბრის 1-ს. ვისაც პირველ...ყებითი სკოლა აქვს გათავებული ...უცდელად მიიღება პირველ კლასში. ...ერა, არაგვინის შესახვევი, სიმონოვის ...ბლი № 2).

— ქალთა მე-6-ე გიმნაზიის ქართულ ...ასებში (1 განყ.—4 კლასამდი) ...ება დაიწყება სექტემბრის 27-ს და ...გრძელდება 4 ოქტომბრამდე. წავლა ...იწყება 6 ოქტომბერს.

— ქალთა მე-6-ე გიმნაზიაში დაი...ნა დირექტორათ ქალთა ქართული ...ნაზიის ყოფილი მასწავლებელი გრ. ...თქიფანიძე.

**კრებები**

— დღეს, პარასკევს, სექტემბრის 27-ს ...ის 10 საათზე მუშათა კლუბში (მი...ის პრ. № 65) დანიშნულია კოო...ტივების მოსამსახურეთა საერთო ...ა.

— კრება. დღეს, დილის ათ საათზე ...იშნულია პროფესიონალურ კავშირ...ბჭოს კრება.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

**ნაძალადევის კრება.** პარასკევს, სექტემბრის 27-ს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია ნაძალადევში მცხოვრებ სოციალისტ-ფედერ. წევრთა კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ვახტანგ კო...ტეტიშვილი.

—

...იმ ამხანაგებს, რომელთაც წაღებული ...თ ბარათები გაზეთ „სოც.-ფედერალისტის“-თვის შემოწირულების შესაგროვებლად ვსთხოვთ საჩქაროდ დააბ...უნონ.

—

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ ...ქნიკური დაბრკოლების გამო დროე...თ შეჩერებულია.

—

**...ღეს, საღამოს რვის ნახევარ... პარტიულ კლუბში დანიშნულია მთავარი კომიტეტის და ტფილისის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება ფრიად ყურადღ...ების საკითხების განსახილვე...**

—

**სექტემბრის 28-ს**, დანიშნულია ...ლგაზდა სოც.-ფედერალისტთა ...ელოს გამგეობის კრება. საღამოს 5 საათზე (ახ. დრ.) ...ა. ყველა იმ ამხანაგს, ვინც დაინ...ებულია სამკითხველოს ბედით, ...ოვთ ამ კრებას აუცილებლად დაეს...ს.

—

...ფარმაცევტთა კრება. შაბათს სექტემბრის 28 ს, საღამოს 9 საათზე, პარტიულ ბიუროს დარბაზში მოხდება ტფილისის ს. ფ. ფარმაცევტთა კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ.

## სომხური პრესა.

**...ართველოს დამოუკიდებლობა.** ...სომხეთის სახალხო პარტიის ორგანო „...ოვურდი ძაინ“ ეხება ბრესტ-ლი...ის დამატებითი მუხლებს და ამ...

ამ დამატებათა მიზანია იმ საკით...ების მოწესრიგება, რომელიც ყოფილ ...რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენილ სა...ხელმწიფოებს შეეხება. თანახმად ამ მუ...ხლისა, რუსეთი და გერმანია აღია...რებენ ზოგიერთ ამ სახელმწიფოთა და...მოუკიდებლობას, მათ რიცხვში საქართველოს დამოუკიდებლობასაც. რაც შეეხება ამიერკავკასიის დანარჩენ რესპუბ...ლიკებს, მათზე არაფერია ნათქვამი და...მატებითი ხელშეკრულებაში, რადგან ...რუსეთი ეკონომიურად დაინტერესებულია მათი ტერიტორიის შენარჩუნებით „განსაკუთრებით არ უნდა რუსეთს ...არი სთქვას ბაქოს ნავთის რაიონზე და ...მუხლში გერმანიამაც დაუთმო რუ...სეთს. ამით გერმანია თითქოს ადასტუ...რებს, რომ ბაქოს საკითხი ბრძოლ... ...კი არა, არამედ ფართო საერთაშორისო მასშტაბით გადაწყდება.

„რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობას, იგი ახალ ძალას პოულობს რუსეთის მხრით, იმ რუსეთის, რომლის ეხლანდელი მთავრობა ასე მტრულად ეპყრობოდა საქართველოს. ამით საქართველოს მდგომარეობა უმჯობესდება რუსეთის ფარგლებში. ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას გერმანია და ყოფილი რუსეთის დასავლეთით აღმოცენილი სახელმწიფოებიც აღიარებენ, ისეთ ხელსაყრელ საერთაშორისო მდგომარეობასა ჰქმნის ჩვენ მეზობელ სახელმწიფოსათვის, რომელიც მან, რასაკვირველია, ჯეროვნად უნდა გამოიყენოს თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის.

„ამ ხელსაყრელი პირობებით და კეთილდღეობით ისარგებლებს სომხის ერის ის ნაწილიც, რომელიც საქართველოში სცხოვრობს, და ამიტომ სომხეთი დაინტერესებულია, რომ მეზობელი სახელმწიფო გაძლიერდეს და განვითარდეს და ჩვენც სულით და გულით მივესალმებით ახალ ფაქტს საქართველოს დამოუკიდებლობის დადასტურებისას.

## დუშეთის გლეხთა ყრილობა

ენკენისთვის 15-ს დუშეთში მოხდა 9 სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ იქონია მსჯელობა მიმდინარე მომენტისა და მიწის საკითხის გამო.

ამ ყრილობის შესახებ გაზ. „ერთობაში“ (№ 204) მოთავსებულია ვრცელი კორესპონდენცია, სადაც კორესპონდენტი ფრიად გაბრაზებულია ამ ყრილობაზე სოციალისტ-ფედერალისტების წარმომადგენელთა საქციელით. ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით, როგორი სიტყვები წარმოსთქვეს იქ ადგილობრივმა ჩვენმა ამხანაგებმა და ვერც ვიქონიებთ ამის გამო მსჯელობას, ხოლო აქ გვინდა ჩვენი აზრი გამოვსთქვათ იმ ფარგლებში, რის მასალასაც თვით გაზ. „ერთობის“ კორესპოდენცია იძლევა.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ აქ ვკითხულობთ, რომ მომენტის შეფასების დროს სოციალისტ-ფედერალისტებს მოუნდომებიათ მაზრის ადმინისტრაციის შეფასება. შეკითხებიან დელეგატებს: იღებენ თუ არა ქრთამებს, გაფლანგეს ფულები, თუ არაო. ეს შეკითხვები არ მოსწონებია კორესპონდენტს და თვით დელეგატებსაც. მაგრამ ჩვენი აზრით აქ ვერაფერს დასაძრახისს ჩვენ ვერა ვხედავთ. განა თვით „ერთობამ“ არ იცის, რომ ჩვენი ადმინისტრაცია დღეს ერთობ სუსტობს, როგორც საქმიანობის, აგრეთვე ზნეობრივის მხრით? არა თუ დუშეთის მაზრაში, თვით მთავრობის კარებთანაც, ქ. ტფილისშიაც, ჩვენი ადმინისტრაცია ღმობიერ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს. ადმინისტრაციის და საერთოდ მოხელეთა მექრთამეობაზე, ფულების გაფლანგვაზე, საქმის უცოდინრობაზე და საერთო უვარგისობაზე დღეს მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ამას თვითონ მთავრობაცა გრძნობს და ჩვენი აზრით, ამის მითითება, ამის გამოსწორება, დამნაშავეთა დასჯა, ადმინისტრაციის გაუმჯობესობა ეს უწმინდესი მოვალეობაა ყოველი მოქალაქისა და თუ ყრილობაზე ჩვენი პარტიული ამხანაგები ამის გამორკვევას სცდიბდნენ და ამისთვის მათ არა თუ საყვედური არა ხვდებათ, თვით კორესპონდენტიც უნდა დახმარებოდა და უნდა დაეხმაროს ყველგან ყოველთვის.

ნუ თუ „ერთობის“ კორესპონდენტს ისე ესმის დემოკრატიული ფრონტის გაერთიანება და სოციალისტურ პარტიათა შეთანხმება რომ არავინ ხმა არ ამოიღოს იმ შეცდომებისა და ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს რესპუბლიკაში?! არა, ბატონებო, სწორედ ეს თამხმობა და ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცება მოითხოვს ყოველივე ნაკლის დაურიდებლად აღნუსხვას და მათს მოსპობას. უპირველესი მიზანი ჩვენი მთავრობის პრესტიჟის ამაღლებაა და ამ პრესტიჟის დაცემა ყველაზე უფრო შეუძლია სწორედ უპასუხისმგებო ადმინისტრაციას. ეს აღნიშნეს სოც.-ფედერალისტების წარმომადგენლებმა გლეხთა ყრილობაზე? სრულიად მართებულად მოქცეულან და დარწმუნებული უნდა იყოს „ერთობის“ კორესპონდენტი, რომ მთავრობას ამის გამო მადლობის მეტი არა ეთქმის რა.

მეორე მთავარი საკითხი ყოფილა მიწის საკითხი. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებს ყრილობისათვის მოუხსენებიათ მთავრობის პროექტი მიწის საკითხის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ეს პროექტი კერძო საკუთრების პრინციპზეა აგებული. ყრილობასაც დაუდგენია „ჩამორთმეული მიწები დაურიგდეს გლეხებს კერძო საკუთრებად“. სოციალისტ-ფედერალისტთა ადგილობრივს წარმომადგენელს ულაპარაკია ამის წინააღმდეგ, მოუთხოვნია მიწა მიწის მუშებისთვის უფასოდ, უიჯაროდ და სყიდვა-გაყიდვის მოსპობა. „ერთობის“ კორესპონდენტს ესეც არ მოსწონებია, მაგრამ მართალი მოგახსენოთ, კორესპონდენტის გულისწყრომა სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

როგორ? თქვენ გნებავთ, რომ სოციალისტ-ფედერალისტები დაგეთანხმნენ იმაში, რომ მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ მიწის სყიდვა-გაყიდვის ხელშეუხებლობას, მიწის მიყიდვას მიწის მუშებზე, იჯარას და კერძო საკუთრების განმტკიცებას მიწაზე? ეს ხომ შეუძლებელია, რადგანაც სწორედ ამგვარად მიწის საკითხის გადაჭრა არ არის საკითხის მოწესრიგება; მიწის მუშების ინტერესები მოითხოვენ სოციალ-დემოკრატების პროექტის უეჭველად უარყოფას.

სოციალ-დემოკრატებმა ძალიან კარგად იციან, რომ სოციალისტ-ფედერალისტები მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მოითხოვდნენ მიწის უფასოდ გადაცემას მიწის მუშებისთვის, ყოველივე იჯარის მოსპობას და მიწის განთავისუფლებას და ეს რწმენა ჩვენ დღესაც არ შეგვრყევია ძირითადად მიწის საკითხის მოწესრიგება მხოლოდ ამ ზომებით შეიძლება და სოციალ-დემოკრატების დღევანდელი პროექტი, რომელსაც მხარს უჭერს ჩვენი მთავრობა, ჩვენი ღრმა რწმენით, მიწის საკითხს ვერ გადასწყვეტს და მშრომელი მიწის მუშა ისევ ფულიანის ხელში ჩავარდება.

ამგვარად, თუ ჩვენი დუშელი ამხანაგები ამ ნიადაგზე უწევდნენ წინააღმდეგობას სოც.-დემოკრატების წარმომადგენელთ, „ერთობის“ კორესპოდენტის სამწუხაროდ უნდა განვაცხადოთ, რომ აქაშიაც ჩვენ ჩვენს ამხანაგებთან სრულს თანხმობაში ვართ. ნუ თუ ვისმე ჰგონია, დღეს სოციალისტურ პარტიათა თანხმობა ვისმე ავალებს თავის რწმენის და პროგრამის ძირითადი პრინციპების უარყოფას და დათმობას?! ყოველ შემთხვევაში სოციალისტ-ფედერალისტებს დღევანდლამდე ამ ძირითადი პრინციპების ერთი მუხლიც კი არ უარუყვია და არ დაუთმია და მომავალშიაც ვერავითარი ძალა ამას ვერ გვაიძულებს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ღრმა რწმენით და განვლილ ისტორიული მაგალითების მიხედვით სწორედ ჩვენი პრინციპების გაკვალული გზით მივდივართ.

ერთი პატარა საკითხიც. თურმე ჩვენს ამხანაგებს ეჭვი შეუტანიათ იმაში, რომ ეს გლეხთა ყრილობა ნამდვილი გლეხთა თავისუფალი ყრილობა ყოფილა. ამის შესახებ დანამდვილებით ჩვენ არაფერი ვიცით, მაგრამ ძლიერ სამწუხარო კი იქნება, თუ გლეხთა ყრილობებს სოც.-დემოკრატები ისეთივე წესებით მოიწვევენ, როგორც რევოლიუციის პირველ დღეებში იწვევდნენ. განა სოციალ-დემოკრატებმა თითონ არ იციან, რომ ძველი „გლეხთა“ ყრილობები უფრო სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების და პროპაგანდისტების ყრილობა იყო და არა ნამდვილი მიწის მუშებისა? და ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ ის ძველი ცუდი წესებიც დაევიწყებინოთ სოციალ დემოკრატებს, როგორც ბევრი რამ სხვა ცუდი მოიშორეს და მაშინ უფრო განმტკიცდება ის შეთანხმებული მუშაობა ჩვენი მთავრობის გასამაგრებლად, რომელიც დღეს არსებობს.

რაც შეეხება ამ ნიადაგზე ბრძოლის სისტემას მოწინააღმდეგეთა პატივისცემას და სხ., რასაკვირველია, ყველა უნდა ცდილობდეს რიგიანობის საზღვრებს არ გადასცდეს. ამ ნიადაგზე ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დემაგოგია ჩვენი პარტიის დამახასიათებელი არსოდეს არ ყოფილა და არც მომავალში იქნება და ობიექტიურს, მიუდგომელს, პირუთვნელს კრიტიკას კი მუდამ ვაწარმოვებთ, სანამ ჩვენი იდეალებისთვის ბრძოლა საჭირო იქნება.

ს. და—ნი.

## უექიმობა სოფლად

ვინ იტყვის ექიმობის საქმე წინად კარგად იყო გამართული საქართველოშიო. ამ მხრივ რომ ქალაქი ჰკოჭლობდა, სოფელზე აბა ვინ მოიცლიდა. უექიმობა იყო წყალობა, რუსის მთავრობამ რომ სხვა უკულტურობასთან ერთად გადმოგვიგდო და ამ წყალობის შედეგია, რომ ქართველი ხალხი გადაშენების გზას დაადგა და დღესაც საქართველო უფსკრულის პირამდე მისულა. ქონებრივად ჩამორჩენილობას კიდევ ეშველება რამე, კიდევ მოეულება რამე ერის უკულტურობას, მაგრამ დიდია საფრთხე და განუზომელი, როცა ერი ფიზიკურ გადაშენების დამართზე და ექანება. და ეს საფრთხე, სამწუხაროდ, მთელის თავის სიგრძე-სიგანით ჩვენი ერის წინაშე აღმართულა. დასნეულებულია ხალხი და დასნეულებულია ისე ათასგვარ სენის და სიმშილის წყალობით, რომ ფრიად დიდი ხარჯი და ძალაა საჭირო, რომ ერი კვლავ ფიზიკურ ჯანსაღობის გზაზე გამოიყვანო. დასნეულებულია მეტადრე სოფელი. სოფელი ეს ის ნაპრალია, საიდანაც ჩვენი ქვეყნის განსაცდელს აქვს თავი ამოყოფილი. ისეთი უპატრონობა, ღვთის ანაბრობა, როგორიც დღეს იქ არის, ზღაპრად თუ გაიგონება. ოცი ათასობით, ორმოცი ათასობით ითვლება მცხოვრები ამა თუ იმ კუთხეში და საავადმყოფო არ არის, სამოცი ათასობით ითვლება და უბრალო ფერშალიც კი არ მოიპოვება. სახადიანი ავადმყოფი ერთ ოთახში წევს ჯანსაღებთან ერთად, მუცელათი დასნეულებულს მკითხავის „რეცეპტებითა“ ჰკვებავენ, ხოლერიანებს ჯან-საღთ არ არიდებენ და ხოლერისგან დახოცილთა ბინები ჰყრია უდეზინფექციოდ, ომის ასპარეზიდან ჩამოტანილი ვენერიული სენი ხალხს თავისუფლად ედება. ყველა ამას ჰნახავთ დღეს საქართველოს ყოველ სოფელში. ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ არავინ არის, რომ საშინელება გაითვალისწინოს და კარზე მომდგარ განსაცდელს დროზე მოუღოს ბოლო. მთავრობა სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობაშია გართული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები კი თითქოს დამბლა დაკრული. ყველა მოიქანცა და მოიღალა, და თუ ყურადღებას კიდევ საითმე მიაპყრობს, ეს იმ ჩხარეს, სადაც პატარა საქართველოს დიდი სახელმწიფო შენობა შენდება. გვავიწყდება კი... გვავიწყდება, რომ ხალხის ჯანმრთელობაც იგივე დიდი და საჭირო შენობაა, რომელზეც სახელმწიფოს მაგარი შენობა უნდა დაეყრდნოს. სნეულია ხალხი, სნეულია სახელმწიფოც სნეულია ფიზიკურად, სნეულია სულიერადაც. ფიზიკურად სნეული და ჩამორჩენილი ერი კი ვერც ეკონომიურს, ვერც პოლიტიკურს სიმტკიცეს ვერ შეჰქმნის. და ყველა ჩვენთაგანის მთავარი საზრუნავი, მთავრობისაც, ის უნდა იყვეს, რომ ქართველმა ერმა ფიზიკური ჯანმრთელობა შეინარჩუნოს; ჯანმრთელობა თავმდები იქმნება იმის, რომ ერი ადვილად წამოიწევს ეკონომიურად, ქონებრივად, ეს კი შეძლებას მისცემს დაწინაურდეს კულტურულადაც. ერობაზე, რომელმაც პირველი ნაბიჯი უკვე შემოდგა ჩვენში და წელშიც, უეჭველია, მალე გაიმართება, დიდს იმედებს ამყარებენ ამ მხრივაც, მაგრამ ვიდრე ერობა კალაპოტში ჩადგებოდეს და თავის სიტყვას იტყოდეს, სოფლის მზრუნველობაზე ავიღოთ ხელი? არა, ეს სიკვდილს საშუალებას მისცემდა ათასგვარ სნეულების წყალობით ხშირი ზეიმი ემართა ჩვენში. დღეს, როდესაც ახალმა და ფრიად საშიშმა აჩრდილმა იჩინა თავი ხოლერის სახით, დღეს, როდესაც ასეა ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი, ხალხი დამშეული და გამოფიტული და, მაშასადამე, ხოლერისათვის და ყოველგვარ სენისათვის საუკეთესო ნიადაგი, დღეს მთავრობის ვალია აიძულოს თავის სამსახურში მყოფი ექიმფერშალნი ორ-კვირაში, თვეში ერთხელ მაინც ჩამოიარონ თავის რაიონის სოფლები და გაიგონ მაინც, რა და რა სენი ხრავს ხალხის ჯანმრთელობას, რომ ხალხისათვის საშიშ სენს წამლობაც მალე მიაშველონ. ბევრგან არის ექიმ-ფერშალი დანიშნული მთავრობის, თუ სხვის ხარჯით, მაგრამ თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებენ და ჯამაგირის მიღებას კი დროზე არ გადააცილებენ, ისე, როგორც ძველად იყო ხოლმე.

სანგანიძე.

## ბაქოს ამბები

ბაქოდან ჩამოსულები გადმოგვცემენ შემდეგს: „გაცხარებული სამი დღის საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, 15 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დაეცა ბაქო და შემოვიდნენ ოსმალები. პირველად ბაქოში შემოვიდნენ ადერბეიჯანელი და ბაქოელი თათრები, რომლებიც ოსმალთა რეგულიარულ ჯარს წინ მოუძღოდნენ, რბევა და ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა მეორე დღის საღამომდი, სანამ ოსმალთა რეგულიარული ჯარები არ შემოვიდნენ ქალაქში, რის შემდეგ აღდგენილ იქმნა სრული წესიერება. თვით ოსმალთა ჯარს არაფერი ცუდი არ ჩაუდენია.

ინგლისელთა რაზმები 14 სექტემბერს ღამით გემებით გაიქცნენ კრასნოიარსკისაკენ, დასტოვეს დახოცილები, დაჭრილები და ტყვეები; დაახლოვებით 1500 კაცამდე.

ოსმალთა [illegible] უკანასკნელ წუთამდე [illegible] ჯარები [illegible]. ქალაქში შემოსულებს პირველად შეხვდა ქართული 26 წითელი რაზმის ბატალიონი პურ-მარილით და თეთრი ბაირაღით, რომელზედაც ოსმალური ასოებით ეწერა „ქართველების რაზმი“.

ოსმალეთის კონსულს, რომელიც ბაქოელების რაზმს მოუძღოდა წინ, სიტყვა უთხრა რაზმის უფროსმა ი. გაგუამ. ამის შემდეგ ჩაიბარეს ქართველების შტაბი და იარაღი.

ოსმალების რეგულიარულ ჯარების შემოსვლის შემდეგ, ნური-ფაშის ბრძანებით ქალაქის სამ ადგილას აღმართეს სახრჩობელები და სჯიდნენ მხოლოდ მძარცველ-მგლეჯელებს და დამრბევლებს.

ქართველებს ძალიან ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობიან. ნური ფაშის განკარგულებით ბაქოში ტყვეთ მყოფ ქართველ ოფიცრებს და ჯარის კაცებს მისცეს საგანგებო მატარებელი, რომელიც 22 სექტემბერს ღამით გამოვიდა და ტფილისში 24-ს ჩამოვიდა. გზაში არავითარი დაბრკოლება არ შეგვხვედრია, მხოლოდ ორ ადგილას გაგვჩხრიკეს. არის განკარგულება, რომ პირველ რიგში გამოუშვან დარჩენილი ქართველი მოქალაქენი, სხვა ეროვნების მოქალაქეთ ჯერ არ უშვებენ ქალაქიდანაო“.

## ზოგი-რამ

ავლაბარს ისტორიულად ეწოდება **ისანი**. ეხლა, როდესაც საქართველოში ხალხი მეფობს და არა მეფე, სახელი ისანი შესანიშნავია სწორედ იმით, რომ მასთან დაკავშირებულია ქართველთ ერთგვარი რევოლიუციონური მოძრაობა თამარ მეფის დროს, მიმართული მის მეფურ უფლებათა შესალზუდავად. მაშინ თამარ სცხოვრობდა ისანს, სამოთხის მსგავს სამყოფ ციხე დარბაზში, სადაც შვება და მუსიკობა იყო უწყვეტელი.

თამარ მეფის დედის, ბურდუხან დედოფლის სიკვდილის შემდეგ ისნის ციხე დარბაზში შემოკრბა შვიდთავე სამეფოთა დიდებულნი, „რომელნიც ღირს იყვნენ განზრახვად და გამორჩევად“. მამიდა რუსუდან დედოფალი შევიდა თამარის წინაშე და მოახსენა მეფესა და თამარს დიდებულთ გარდაწყვეტილება, რათა თამარ ასულიყო სამეფო ტახტზე. თამარ მორჩილ იქმნა.

არა კმაყოფილებამ თავი იჩინა ჯერ კიდევ პირველ კრებაზედვე, რომელიც თამარ მეფემ მოიწვია სალმრთო სჯულთათვის, კრებას, სხვათა შორის, დაესწრნენ ნიკოლოზ გულაბრის ძე ქართლის ნაკათალიკოზარი, რომელიც იერუსალიმით გამოწვეულ იქმნა, და ანტონ ქუთათელი საღირის-ძე. მაშინდელმა მიქაელ კათალიკოზმა არ ინება მათ შორის ყოფა. მატიანის თქმით, მიქელ „წინა უკმო იყო წესთაგან საეკლესიოთა“ და ჰქონდიდელ მაწყვერდობა და მწიგნობართ უხუცესობა მოეხვეჭა „უფლისაგან“ (მეფისაგან). კრებამ ვერ განაყენა იგი, თუმცა ბევრს ეცადა. ზოგიერთი ეპისკოპოსი კი, რომელიც სალმთო კაცი და სჯულის მეცნიერი არ იყო, შესცვალა.

სასულიერო წოდებაში ეს მოჰხდა, დიდებულ ხელის უფალთა შორის კი თავი იჩინა დაუდგრომლობამ. გაიფიცნენ. აღარ ისურვეს დარჩენა ზოგიერთ ძველ ხელის უფალთა და საქმის გამგებელთა ფირმანს ქვეშ, რათგანაც ისინი გვარიანები იყვნენ და პატივი მოჰკლებოდათ „უგვაროთა და უხამთაგან“. მათ შორის პირველი იყო ერთგული, კარგი მოყმე და ჭაბუკი „ყუბასარ“ პატრონთაგან გაზრდილი, ამირ სპასალარი და მანდატურთ უხუცესი, მაგრამ ფილენჯის სენისაგან დაავადებული ჰქონდა ენა, ხელი და ფეხი. თამარ მეფეს სთხოვეს, ჩამოერთმია მისთვის ყოველი ნაქონები, მაგრამ უნაყოფო იქმნა მათი განზრახვა, თამარ მეფეს ხელის უფლობის და ლორის ციხის გარდა არაფერი დაუკლია ყუბასარისთვის და დიდის პატივით დაიჭირა სიკვდილამდე. მეორე იყო „აფრიდონ“ აზნაურის ყმობისაგან ამაღლებულ განდიდებული ვიდრე მსახურთ უხუცესობამდე და თმოგვის და სხვა ციხეთა პატრონობით აღზევებული. მოიშალა და დაიმხა ლაშქართა ნებით და განზრახვითა და ბრძოლა უყვეს ერთმანერთს ხელის უფლებისთვის.

იმასობაში მოჰხდა გამოსვლა ყუთლუ არსლან მეჭურჭლეთ უხუცესისა, მატია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის თქმით ყუთლუ არსლან ჯორივით ორგულება იყო და თავის წესზე დაუდგრომელი. როგორც სჩვევიათ ადრე აღზვავებულ ჭაბუკებს და სიმდიდრით აშალებულ უაზრო გვარიშვილებსა, მოჰყვა ხმარებელთაებრ გონება მაღლობას და ხილვითი ქცევასა და მოითხოვა კარვის დადგმა ისნის ველზე საგოდებელის სანახებათა შორის, რა იტყოდა: „მუნ შიგან (კარავში) თავისუფლებით მსხდომარენი მოვსცემდეთ და მოვიღებდეთ, რომელთამე ვჰრისხევდეთ, რომელთამე ვსწყალობდეთ. ამას ესრეთ ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მუნლა სრულ იქმნებოდის განგებული ჩვენი." თამარს ეწყინა და გაიკვირვა, რაკი მათი სივერაგე და უკეთურება შეიტყო, დასძენს მატიანე, და ღონე იძია, რათა ხელთ იგდოს საქმის მოქმედნი. ხოლო რა ითათბირა თავის ერთგულებთან, შეიპყრო ყუთლუ არსლან.

განდგომილ ყუთლუ არსლანს ჰყვანდა ლაშქარი, რომელიც ერთგულობდა. შეიტყეს თუ არა მისი დატუსაღება, ისინიც შეიყარნენ და გაუდგნენ თამარსა. ხელახლა მისცეს ერთმანერთს სიმტკიცე და ფიცი, რათა გაეშვებინონ ყუთლუ არსლან და არ მიუშვან მისდა სავნებლად. მასთანვე გაემზადნენ, რათა ისანსაც გარშემოადგნენ. მაშინ თამარმა მიუგზავნა მათ ორი საპატიო დიოფალი ერთი ხვაშაქ ცოქელი, დედა ქართლის ერისთავის რატისა, ხოლო მეორე კრავ ჯაყელი, დედა სამძივართა, და უბრძანა ფიცით მინდობა. სხვას კი აღარავის რა დაბრალდებოდა. განდგომილთ რა იხილეს, მაშინვე მივიდნენ თამარის წინაშე და ერთგულება შეჰფიცეს.

მატიანე ასე მარტივად გვიამბობს ყუთლუ არსლანის და მისი ლაშქრის რევოლუციონურ გამოსვლას, რომელსაც აზრად ჰქონდა თამარ მეფის ხელმწიფების ხელშეუვალობა მოესპო. მაშინდელ რევოლიუციონერებს საწადელი ვერ აუსრულდათ, ცდით კი სცადეს ხელთ ეგდოთ უფლება მიცემის და მიღებისა, რისხვის და წყალობისა, ხოლო თამარ მეფე ხელშეუვალი მბრძანებლის ნაცვლად უნდა გადექციათ აღმასრულებლად თავისი განგებულისა.

მატიანე არ აღნიშნავს თუ რა მონაწილეობა მიიღეს მოძრაობაში მიქაელ კათალიკოზმა, რომელმაც მედიდურად არ ინება კრებას დასწრებოდა და შეცვლილმა ეპისკოპოსებმა. მაგრამ კათალიკოზის გავლენა მაშინდელ გულდაკლებულ დიდებულ ხელის უფლებზე ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც კრებას ვერ განუყენებია, თუმცა ბევრს სცდილა.

თამარ მეფის გამგებლობის ამბავი, რომელიც აქ მოვიგონეთ, თუ რევოლიუცია არ არის ისეთი, როგორიც დღეს გვესმის, მის ჩანასახად მაინც უნდა ჩაითვალოს და ღირსია, მარად სახსოვარ იქნეს საქართველოს რევოლიუციის ისტორიაში. ამისთვის საჭიროა, ველაზარს აღუდგინოთ თავისი ნამდვილი ისტორიული სახელი ისანი, ხოლო მის მოედანს უწოდოთ ისნის კარვის მოედანი რომლის შუა გულშიაც უნდა აღმართულ იქმნეს დიდი ქვის-სვეტი შემდეგის წარწერითა: თამარ მეფის დროს ყუთლუ არსლან მეჭურჭლეთ უხუცესი ისწრაფდა მეფის უფლების შეზღუდვას ისნის კარვის გადაქცევით კანონმდებელ დაწესებულებად, მაგრამ დამარცხებულ იქმნა.

პეტრე მირიანაშვილი.

## დაგვიანებული ცრემლები.

უკანასკნელად ლეჩხუმი დავაწყნარეთ და აქედან რაჭაში გადავედით.

აქ ვერავითარ ცნობებს ვერ მიიღებთ ქალაქებიდან. გაზეთები სრულიად არ მოდის. და მეც, რომ მოვდიოდი, მხოლოდ მაშინ, მატარებელში მომეცა საშუალება გამეგო ამბები ქალაქის ცხოვრებიდან.

აქ გაზეთმა გვამცნო მეტად სამწუხარო ამბავი, რომ სამეგრელოში ბრბოებს მოუკლავთ ძვირფასი მებრძოლი და მამულიშვილი არჩილ ხაჯარელიძე!

ამ ამბავმა ძალიან დაგვალონა.. გაზეთი მეორე დღესაც მეტად სამწუხარო ამბავს გვაცნობებს: უეცრად გარდაიცვალა ქართველი მასწავლებელი და ნიჭიერი ბელეტრისტი არსენ მამულაიშვილი (ლალიონი).

და მერე რა დროს?!

ყოველთვის გულ მომკვლელი და თავზარ დამცემია ასეთ მებრძოლთა და დაულალავ მუშათა დაკარგვა; მაგრამ დღეს, როდესაც ჩვენი ტანჯული სამშობლოს ბედსა გვჭედავთ, როდესაც არსენისა და არჩილისებრ მებრძოლნი შინ და გარედ სამშობლოს კეთილ დღეობის გამომჭედნი არიან, ამ დროს—მეტად და მეტად საგალალოა მათი დაკარგვა!

ჩვენც, არსენის აღზრდილი მოწაფენი და არჩილის უმცროსნი ამხანაგნი სხვებთან ერთად ვგლოვობთ მებრძოლთა რიგიდან ამ ორი პატიოსანი მუშაკის გამოკლებას!..

მონდობილობით ხვგ. მ—ძე.

## † Ნ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ

შეუბრალებელმა სიკვდილმა კიდევ მოგვტაცა ერთი სულით და გულით სამშობლოსათვის თავდადებული მეომარი კაპიტანი ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძე. მისი დაკარგვით სამშობლო ჰკარგავს შეუპოვარ გმირს იმ დროს, როდესაც ის ითხოვს, რომ ყველა ქართველი მზად იყოს საქართველოს დაცვისათვის. ბევრი საქმე ჰქონდა დავალებული მას. და ყველაფერს იშვიათი განწირულებით ასრულებდა.

სრული ოთხი წელიწადი დაუცხრომლად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ მე-15-ტე პოლკში ყოფნის დროს; ორჯერ იყო დაჭრილი, მაგრამ არც უფიქრია ბრძოლის ველის დატოვება; ისევ ჩქარა მიეშურებოდა უკანვე, რომ თავისი წმინდა მოვალეობა შეესრულებინა.

ბრძოლის ველზე სამსახურისათვის მრავლად იყო დაჯილდოვებული და მამაცობისათვის მიეცა წმ. გიორგის ხრმალი. სამშობლოში დაბრუნებისას ჩაირიცხა მე-7 ქართულ პოლკში. ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს, კობიდან დაბრუნების შემდეგ დანიშნეს დუშეთის კომენდანტად. იქ ის გახდა ავად და სამი დღის შემდეგ გამოესალმა წუთი სოფელს. უდროოდ გაგვშორდი, ძვირფასო კოლია მით უმეტეს, რომ შენ ვერ მიაღწიე შენს სურვილს, შენს იდეალს, რომ სამშობლოსთვის გაგეწრთნა შენებრ თავდადებული ნამდვილი მეომრები.

მშვიდობით ძვირფასო ახალგაზდა ვაჟკაცო! საუკუნო იქნება შენი ხსენება მამაცო გმირო!

პ. კალატოზიშვილი.

## მოწერილი ამბები

ზესტაფონი. ოსმალეთის ჯარების ოზურგეთიდან გასვლის შემდეგ აქ თავი წამოჰყო ათასგვარმა შოვინისტმა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საშინელ პროპაგანდა-აგიტაციას აწარმოებს.

ეს ვაჟბატონები, იმის მაგივრად, რომ სამართლიანად აღნიშნონ ყველა პარტიის მოღვაწეობა ქართველი ერის წინაშე, ურცხვი დემაგოგიით გამოდიან და მთელ თავის იერიშებს სოციალისტურ პარტიების წინააღმდეგ აწარმოებენ.

საჭიროა სოციალისტურმა პარტიებმა ამას დროზე მიაქციონ ყურადღება, რათა ალაგმონ ეს პატარა იგუდები.

ერთი წელია რაც აქ დანიშნეს, ადგილობრივ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის გამგედ ი. მელიქიშვილი, რომელიც დღიდან აქ ჩამოსვლისა, სახალხო საქმეს ერთგულად ემსახურება. ადგილობრივ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა სასიხარულოდ, ბ-ნი მელიქიშვილი თავისი ცოლით გაზთცდილი, ძველი, დახელოვნებული სცენის მოყვარენი გამოდგნენ, რომელთა დახმარებით და წინამძღოლობით აქ იმართება საღამო-წარმოდგენები. წარმოდგენებს ყოველთვის ხალხი მრავალი ესწრება და ნასიამოვნებიც რჩება. ამ რამდენიმე დღის წინად წარმოდგენილი იქმნა ი. მელიქიშვილის პიესა „ფემინისტკა" 1 მოქ. და კომედია „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს". პიესას აჩქარება ეტყობოდა და აგრეთვე როლების უცოდინარობაც.

სასურველია სცენის მოყვარეებმა როლები შეძლების დაგვარად გაიზეპირონ და პიესებიც ცოტად მაინც შეარჩიონ.

საერობო არჩევნები სოციალისტურ ბლოკის სასარგებლოდ დამთავრდა, ეროვნულ დემოკრატების მოლოდინი ვერ გამართლდა, 300—400 ხმის მაგივრად (რომელსაც ისინი მოელოდნენ) 58 ხმა მიიღეს.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ს. მაჭარაძე რომელმაც საზოგადოებას 900 ფუთი ქერი მოუტანა ძლიერ დაკლებულ ფასებში (31 მან.), მაშინ, როდესაც კერძო ჩარჩები 120 მან. ყიდიან. აქაურ გლეხკაცობის იმედი, თხილი, ჭელს ცოტა მოვიდა და იმასაც ფასი არა აქვს 50 60 მ. ფასობს.

ს. ფატრელი.

ოზურგეთი. კვირას სექტემბრის 8-ს ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა საქველმოქმედო მიზნით. სეირნობას ხალხი მრავალი დაესწრო, რამაც ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა თუ მივიღებთ მხედველობაში იმ კრიტიკულ მომენტს, რომელსაც განიცდის საქართველო და კერძოდ ოზურგეთი. უმთავრესად დამსწრე საზოგადოება მოიზიდა გურულ მომღერალთა გუნდებმა: ერთი ვარლამ სიმონიშვილის ლოტბარობით, ხოლო მეორე კი ს. ჩავლეიშვილის. ხალხის ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა ლოტბარმა ვარლამ სიმონიშვილმა, რომელსაც, როგორც ეტყობა დიდი ენერგია და შრომა დაუხარჯავს თავისი გუნდის მოსაწყობად.

გუნდი მართლაც მშვენივრად არის მოწყობილი, მას ეტყობა ნიჭიერი ადამიანის ხელი; გუნდის ერთ მწყობრი მხიარული სიმღერა, გურულთა გულში რაღაც არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ხოლო ს. ჩავლეიშვილის გუნდმა თავისი მოლოდინი ვერ გაამართლა, ის სუსტი, ძლიერ სუსტი გამოდგა.

ასეთი კონცერტები სასურველია ხშირად იმართებოდეს, იგი გამოიწვევს ეროვნულ სიმღერების აყვავებას. ახალგაზრდა ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის საყურადღებოდ კი საჭიროა ითქვას, რომ ფრიად სასურველია გამართოს თავისი კონცერტები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ვარლამ სიმონიშვილის გუნდი, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის დახმარებით და დირექტივებით იყო შემდგარი.

სასურველია, ბ-ნმა კ. ფოცხვერაშვილმა დაწყებული საქმე არ მიატოვოს და გურულ გუნდს ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ს ფ—ლი

## ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

რკინის გზის ექიმს გ. ი. გურგენოვს.

განსვენებული ჩემი მეუღლე ბარბალე მიხეილის ასული (და აგრეთვე ორი პატარა შვილი) გახდნენ ავად სექტემბრის 4—5, რის გამო ჩემი უფროსი შვილი ერმალოზ კველიშვილი, რომელიც მსახურობს აგრეთვე რკინის გზაზე, სექტემბრის 6 გიახლათ მთავარ საავადმყოფოს ამბულატორიაში და. ვინაიდან თქვენ პირადად ვერა გნახათ—დასტოვა ბიულეტენი და სთხოვა თქვენს თანაშემწე ფერშალს, რომ გენახათ, ავადმყოფი; მაგრამ თქვენ მაგიერ ინახულა ფერშალმა, რომელმაც ბავშვებს და ჩემს ცოლს ერთნაირი წამალი გამოუწერა (ბავშვებს ნახევარ-ნახევარი „პარაშოკი").

რაკი ჩემს მეუღლეს გაუარესება დაეტყო, თქვენ, ბატონო ექიმო, ავადმყოფის უნახავად საავადმყოფოში გასწერეთ, დიაგნოზის გამოურკვევლად და თანაც უკმაყოფილებით დაახლოვებით შემდეგი უპასუხეთ: „მე არსად ავადმყოფებთან არ დავდივარ; კომიტეტი თუ ავტომობილს გამომიგზავნის მაშინ ვინახულებო". ჩემმა შვილმა კიდევ კატეგორიულათ გაგიმეორათ, რომ ავად-მყოფი სერიოზულად არის ავად და გამოგიმშვიდობათ.

მერე მობრძანებულხართ ავადმყოფთან. ზემოდან მედიდურად დაგიხედნათ და აჩქარებით ერთ წამში გამოგიწერათ რაღაცა წამალი და გამოქცეულხართ, ისე რომ არ დაგეცადნათ ავადმყოფს ეთქვა რამე! ჩემი ცოლის ხვეწნაზე, „ძლივს ვახველებ, გულ-მკერდი ძალიან მტკივაო", თქვენ გამობრუნებისას მიგიხედავთ: „არაფერია, ახალი ავადმყოფობაა, ორ დღეში გაივლისო". ეს მაშინ, როდესაც ჩემს ცოლს უკვე დაწყებული ქონდა ნამდვილი პროცესი ფილტვების ანთებისა;

თქვენგან დაიმედებული, ბ-ნო ექიმო ჩვენ ახლობლებმა სათანადო ყურადღება აღარ მივაქციეთ; ბოლოს, რაკი ავადმყოფი სულ უკან და უკან მიდიოდა, სექტემბრის 9 საავადმყოფოში დავაწვინეთ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო:

ორი დღის შემდეგ (ენკენისთვის 11-ს) განუტევა სული,

გეკითხებით ბ-ნო ექიმო, თქვენი ასეთი მოპყრობა ავადმყოფ დავრდომილისადმი შეეფერება თუ არა ექიმს?

საზოგადოდ თქვენით რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი ძალიან უკმაყოფილონი არიან და საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამას ყურადღება მიაქციონ.

ყოფილი მუშა მთავარ საწყობის (შტატის შემცირების გამო, დათხოვნილი) გიორგი კველიშვილი.

## ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ანდრია შუბლაძემ შემოსწირა 14 მანეთის ვერცხლის ფული.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ქიათურა. პარ. ჭანიშვილს. თქვენი განცხადება მივიღეთ მხოლოდ სექტემბრის 25-ს.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

---

**ᲔᲥᲘᲛᲘ** პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი გ. ბ. მეჯრაბიანცი ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ელექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლიუქსიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

**ᲔᲥᲘᲛ** ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივები და ელექტრონით. მიიღებს ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ქალების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ 12—48. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ქალი რ. ბ. შიშლო.სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, ხუბებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვნის აფთიაქის გვერდით. 908

**ᲔᲥᲘᲛᲐ** დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 საღ. 5—6 კვირის გარდა. ოლღას ქუჩა 15 ტელ 13—03 2010

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფი ლისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3 1304

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

**ᲔᲥᲘᲛᲘ** დ. ა. ხარაძიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ხიფილის სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37. აქტიის აუდიტორიის ახლო. 1290

**ᲔᲥᲘᲛᲘ** [illegible] მიიღებს [illegible] განდა ბავშვთა სნეულებიან მყოფთ [illegible] დღე საღამოს 6—7 ს. დე, მიხეილის პროსპექტი № 113.

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ვ. ვ. მეჯნეშაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ზიგზიგის ქ. № 19.

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ქალი ელისაბედ კონსტანტინეს არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქ. № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 12

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ჩოლოყაშვილი. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. მთავრობის ქ. № 3. 11—35.

**ᲔᲥᲘᲛᲘ** ზ. ქ. აბაშიძე შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების ხახუნთქისა ფილტვების აჭკისა, გულის და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ელექტრო, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. ბეჟანოვის ქ. № 26. ტელ. 5—86. 12

თვალის საავადმყოფო მუდმივი საწოლებით ექიმ დონდიასა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ავდლის კინო-თეატრის მახლობლად). და სოლიდარული ავადმყოფები ხელფასის ხოლონითაც მიიღებიან.

ექიმ ნავახარელის პირველი სამკურნალო.

(დაარსებული 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ნ. ა. ნავახარელიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.

გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების სნეულებანი.

ბ. ვ. ავახარიძე: 9½—2 ს. ბავშვების შინაგანი ავადმყ.

ავტიმოვიანი—კანისა და ვენერიული ავადმყოფები 11½ ს.

ნ. მ. მუნაიშვილი: 10— [illegible]

[illegible]

დოქტორი ა. ნავახარელი

## ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მქ ალექსიძის

მომხვედრე ავადმყოფთათვის სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე:

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალების სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7

გ. მ. რეკავა შინაგანი და ნერვიულ ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5

ხმ. გ. ჯაფარიძე—სახაზში ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ვერაკლეს ქ. № 6 ვერის ხიდის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

უნტეროფიცრები და ეფრეიტორები, რომლებსაც სურთ განაგრძონ ხური მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, მოუყვანავად ერთვნებისა შეუ... ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში 9 საათიდან ორ საათამდის, დღისით. ... რი მიეცემათ ასი მანეთი თვეში და ამის გარდა ყველაფერი ის, რაც სამსა... ეკუთვნის ჯარის კაცს: ჭამა-სმა და ტან-საცმელი.

სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი ხაგინაშვილი.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით საყოველ... აუწყებს, რომ ... ტემბრის 28-ს, შუადღის 12 საათზე მისი თანდასწრებით მოხდება შეჯიბრ... ვაჭრობა: იჯარით არის გასაცემი ქალაქის სასწორი დესიმოხოვის მოე... კონდიციების გადათვალიერება შეიძლება მე-4 განყოფილების კანცელარი... დილის 9 ს.—2 საათამდე.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოქტომბრის 2 ს, შუადღის 12 ს., მისი ნადასწრებით მოხდება შეჯიბრებითი ვაჭრობა: იჯარით არის გასაცემი: 1) ქალაქის მიწა „ბუდკის" ასაშენებლად, მოსკოვის ქ., წყალსადენთან; 2) ქალაქის მიწა „ბუდკისათვის" ვერის დაღმართისა და კარგუსელას შესახვევის კუთხეში; 3) ქალაქის მიწა „ბუდკის" ასაშენებლად, ვერის ხიდთან, მეორე სამილიციო უბანში.